

რაჭის კირქვული მასივის სპელეოლოგიური კვლევა

ლაშა ასანიძე

ელ-ფოსტა: lasha.asanidze@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 3

რაჭის კირქვული მასივი კავკასიაში ყველაზე მასშტაბური, შედარებით ახალგაზრდა ასაკისაა. კირქვული ქვაბული გამოირჩევა სიფონური ტბების სიუხვით და მიწისქვეშა მდინარეებით. ქვაბულში მრავლადაა კარსტული ფორმები: ჭები, შახტები, ძაბრები.

კვლევა მოიცავს რაჭის კირქვული მასივის კარსტული პროცესებისა და მოვლენების კომპლექსურ შესწავლას.

კირქვული მასივი გეომორფოლოგიური და გეოლოგიური თვალსაზრისით სრულყოფილად არ არის შესწავლილი. რეგიონში კვლევა გასული საუკუნის 80-90 წლების შემდგომ არც კი განახლებულა. კვლევის შედეგად შესწავლილ იქნება მღვიმის მორფოლოგიური, მორფომეტრიული მახასიათებლები და მნიშვნელოვანი კარსტული პროცესები, გამოკვლეული იქნება მიწისქვეშა სამყაროს მეტეოროლოგიური ელემენტები. საბოლოოდ შეიქმნება რაჭის კირქვული მასივის რელიეფის მოდელი სხვადასხვა მასშტაბში.

წარმოდგენილი მოდელი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საქართველოს სხვადასხვა კირქვულ მასივზე კარსტული პროცესების შემდგომი შესწავლისათვის.

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს რეგიონში სპელეოტურიზმის განვითარებას. ეს უკანასკნელი კი პირველ რიგში ადგილობრივ მოსახლეობას სამუშაო ადგილით უზრუნველყოფს, მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს და რეგიონში მიგრაციის ტემპს შეამცირებს. აღნიშნულ კვლევას ექნება როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა.